პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის
კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 23 (1037) | ხუთშაბათი, 21 თებერვალი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.



სურათებზე: მინსკი-თბილისის სპორტსმენთა ამხანაგური მატჩის მომენტები. ანგარიში იხ. მე-3 გვერდზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩვენი აქტივი, ჩვენი დასაყრდენი

ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური ყრილობა. ეს შესანიშნავი ღონისძიება დიდ წვლილს შეიტანს რესპუბლიკური პრესის მუშაობაში, კიდევ უფრო დარაზმავს აქტივს, კიდევ უფრო ბასრსა და ქმედითუნარიანს გახდის საბჭოთა პრესას.

საბჭოთა პრესა ნამდვილად გამოხატავს მრავალმილიონიანი მშრომელი მასების მისწრაფებებს და ემსახურება მათ ინტერესებს. მაღალი იდეურობა, სიმართლე, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა და მასებთან მჭიდრო კავშირი — აი საბჭოთა პრესის კეთილშობილური ამოცანა. ჩვენს პრესას მასებში დაუცხრომლად შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები. იგი არის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის არა მარტო პროპაგანდისტი და აგიტატორი, არამედ ორგანიზატორიც.

ჩვენს ქვეყანაში ბეჭდვითი სიტყვას მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აქვს. პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდი მზრუნველობით ეპყრობიან, მუშაობის საუკეთესო პირობებს უქმნიან ჟურნალებსა და გაზეთებს. ამ უდიდესი ზრუნვის ერთ-ერთი დადასტურებაა ბეჭდვითი სიტყვის განუხრელი ზრდა. ყოველდღიურად მოდის ცნობები ახალი გაზეთების, ჟურნალების გამოსვლის შესახებ. ამას წინათ უკრაინელმა კოლეგებმა გამოგვიგზავნეს მათი ახალი ჟურნალის „ფიზკულტურა ი სპორტის" გემოვნებით გაფორმებული პირველი ნომერი.

საბჭოთა პრესა მოწოდებულია კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა მშრომელი მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, გამოავლინოს და სასტიკად გაკიცხოს ის ადამიანები, რომელთა შეგნებაში ჯერ კიდევ არსებობს ძირმომპალი კაპიტალისტური საზოგადოების გადმონაშთები, ყოველდღიურად განუმარტოს მასებს ის დიდი ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის აყვავებისათვის და დარაზმოს ისინი ამ სასიცოცხლო ამოცანების გადასაჭრელად.

ჩვენს გაზეთს, ისე როგორც ყველა საბჭოთა გაზეთს, ჰყავს ფართო აქტივი. რესპუბლიკის საუკეთესო მწვრთნელები, სპორტსმენები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები სისტემატურად მონაწილეობენ ჩვენი გაზეთის მუშაობაში, თავიანთი წინადადებებით, სტატიებით, გამოცდილებათა გაზიარებით კიდევ უფრო საინტერესოს, მიმზიდველს ხდიან მას ფართო მკითხველისათვის. ამის გარდა, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში გვყავს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტები. გაზეთი მთელ თავის საქმიანობას წარმართავს ფართო აქტივზე დაყრდნობით. რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მყოფი კორესპონდენტები და სპორტსმენთა ფართო წრე არის ის ძირითადი ბირთვი, რომელიც ყოველდღიურად ჰკვებავს ჩვენს გაზეთს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანზე ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. რესპუბლიკის ბევრ რაიონში მყოფი კორესპონდენტი უმოქმედობს, არ გრძნობს თავისი მოვალეობის სერიოზულობას, რათა პრესაში გამოამზეუროს თავისი რაიონის ავ-კარგი. მაგალითად, ჩვენი კორესპონდენტები მ. იაძე (ახალციხე), შ. აბრამაშვილი (ბორჯომი), ნ. შონია (ხობი), ა. კარტოზია (გორი) მხოლოდ აღრიცხვაზე გვყავს. მათგან ჩვენს გაზეთს ერთი პატარა ინფორმაციაც კი არ მიუღია მაშინ, როცა აღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში მეტად საინტერესო სპორტული საქმიანობა მიმდინარეობს. ზოგიერთი კი მოვალეობის მოხდის მიზნით არაფრისმთქმელ ინფორმაციას გზავნის და კრიტიკული წერილის გამოგზავნას ყოველმხრივ ერიდება. ამაში, რასაკვირველია, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებიც არიან დამნაშავენი. მათ მხოლოდ შეარჩიეს კორესპონდენტის კანდიდატურა, საქმე დამთავრებულად ჩათვალეს და არ მოაგონდებათ მათი მუშაობის შემოწმება.

ჯერ კიდევ დეკემბერში, როდესაც ჩვენი გაზეთის პერიოდულობის გაზრდის საკითხი გადაწყდა, ყველა კორესპონდენტს გავუგზავნეთ პირადი წერილი, სადაც ვატყობინებდით, რომ გაზეთის პერიოდულობის გაზრდასთან დაკავშირებით უფრო მეტი და ოპერატიული მუშაობა იყო საჭირო. ამასთან კომკავშირის რაიკომებს, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს ვთხოვდით გაენთავისუფლებინათ უმოქმედო კორესპონდენტები, და მათ ნაცვლად საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე ამხანაგები შეერჩიათ. ბევრგან შეასრულეს ჩვენი თხოვნა, მაგრამ ბევრგან კვლავ სდუმან.

ჩვენი გაზეთის მოწინავე კორესპონდენტებია: გ. დევნოზაშვილი (დმანისი), გ. ჩხაიძე (შუახევი), ს. დემეტრაშვილი (ლენინგორი), მ. ორკოდაშვილი (თელავი), ა. თირქია (ზუგდიდი) და სხვები. ისინი სისტემატურად მონაწილეობენ ჩვენი გაზეთის მუშაობაში, ოპერატიულად აშუქებენ თავიანთი რაიონის სპორტულ ცხოვრებას გაზეთის ფურცლებზე.

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური ყრილობა შეაჯამებს ამ მნიშვნელოვან დარგში გაწეული მუშაობის შედეგებს, გამოავლენს ნაკლოვანებებს, ახალ ამოცანებს დაუსახავს მათ და შეიმუშავებს ღონისძიებებს, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი პრესის შტატგარეშე კორესპონდენტთა ავტორიტეტი.

ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს?

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). XIX ტურში საერთო ყურადღებას იპყრობდა ლიდერების პარტიები. რასაკვირველია, უმეტესობა ფიქრობდა, რომ ბრონშტეინი და ტალი ადვილად ჩაიწერდნენ ქულებს გურგენიძესთან და ტარასოვთან. მაგრამ არა. აქ მოხდა გაუთვალისწინებელი. ტალმა იფიქრა მეთოდური თამაშით გამარჯვების მიღწევა. მაგრამ, როდესაც მან მხედარი წაიყვანა საკონტროლო პოზიციაზე გასამაგრებლად ტარასოვი ხარისხის შეწირვით ინიციატივას დაეუფლა. საშიში შეიქმნა მისი გადაბმული გამვლელი პაიკები. ამიტომ ტალმა 31-ე სვლაზე ტარასოვს ყაიმი შეთავაზა.

როდესაც ტალ-ტარასოვის პარტიის სადემონსტრაციო დაფაზე „ყაიმი" გამოაკრეს, ბრონშტეინი დიდი ხნით ჩაფიქრდა. მან გურგენიძის გათამაშებული ძველინდური დაცვის წინააღმდეგ აირჩია ყველას მიერ მივიწყებული სისტემა, რომელსაც 1921 წელს ლონდონის საერთაშორისო ტურნირზე კაპაბლანკა და ალიოხინი წარმატებით იყენებდნენ. მიუხედავად ამისა გროსმაისტერმა შუა თამაშში რაიმე სასარგებლო ვერაფერი შეიძინა, გარდა მწვავე პოზიციისა. მაგრამ ბრონშტეინმა მტკიცედ გადაწყვიტა მოგებაზე თამაში, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ასწრებდა ტალს.

ბრონშტეინი სწირავს ეტლს ფიგურასა და პაიკში და ღებულობს იერიშს. მაგრამ ამასობაში ორივე მეტოქე ცაიტნოტში მოექცა. ბრონშტეინს უმტყუნა მისმა გამოცდილებამ, სამაგიეროდ გურგენიძემ სწრაფი თამაში არაჩვეულებრივი სიზუსტით წარმართა. მან ოსტატურად გამოიყენა ბრონშტეინის ყველა მცირე შეცდომაც კი. მზერად გადაქცეული მაყურებლები გაქვავებული ისხდნენ. სადაცაა უნდა გამოცხადებულიყო გამარჯვებული... [illegible] ტაშში ბრონშტეინმა გურგენიძეს ხელი ჩამოართვა, რაც ახალგაზრდა ოსტატის დამსახურებულ გამარჯვებას ნიშნავდა.

მწვავე ბრძოლა გაიმართა სპასკი-ბოლესლავსკის პარტიაში. სპასკიმ დაასწრო მეტოქეს იერიშის დაწყება. ბოლესლავსკიმ ორი პაიკის შეწირვით აქტიურად იცავდა თავს. მალე პარტია ეტლების ენდშპილში გადავიდა, სადაც სპასკის მატერიალური უპირატესობა არც ისე ადვილი გამოსაყენებელია. ეს პარტიაც გადაიდო, ისე როგორც ბანიკ-არონინის, არონსონ-ხოლმოვისა და ხასინ-ფურმანის.

ტაქტიკურ ბრძოლაში კლამანმა ფიგურა შესწირა ნეჟმეტდინოვს და გაიმარჯვა. სტოლიარმა კარგად ისარგებლა ანტოშინის პასიური თამაშით, შეიჭრა მის ზანაკში და უკვე 31-ე სვლაზე დააყრევინა ფარხმალი. მიქენას-პეტროსიანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

XX ტურში ტალმა ვერ შეძლო ხოლმოვთან ინიციატივის მიღება და პარტია ყაიმით დამთავრდა. ტოლუშ-არონსონის პარტიაში მე-10 სვლაზე არონსონს მოეჩვენა ლაზიერის დაკარგვა და მოულოდნელად დანებდა. ამით ტოლუში დაეწია ტალს.

ანტოშინმა მოუგო კლამანს, ყაიმით დამთავრდა ტაიმანოვ-ფურმანის და ბოლესლავსკი-ხასინის პარტიები. გურგენიძემ ბანიკთან დებიუტში უკეთესი თამაში მიიღო. მძიმე პოზიციაში ჩავარდნილმა ბანიკმა სცადა პაიკის დათმობით ბრძოლის გათანაბრება. მაგრამ ქართველმა ოსტატმა შეინარჩუნა უპირატესობა, გადადებულ პარტიაში გურგენიძეს მოგების დიდი შანსები აქვს.

გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები. გურგენიძემ კარგად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

ამრიგად, XX ტურის შემდეგ (გადადებული პარტიების დამთავრების წინ) სატურნირო ცხრილში ლიდერებს ასეთი მდგომარეობა აქვთ: მ. ტალსა და ა. ტოლუშს — 13 ქულა თვითეულს, დ. ბრონშტეინს — 12 ქულა და ერთი გადადებული პარტია, პ. კერესს — 11,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

„ფიურვალის" საციგურაოზე

ციგურებით რბენაში მსოფლიო ექსჩემპიონ შვედ ს. ერიკსონის მშობლიურ ქალაქ ესტერსუნდში დამთავრდა 51-ე მსოფლიო პირველობა, რომელიც „ფიურვალის" საციგურაოზე მოეწყო. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ევროპის, აზიისა და ავსტრალიის საუკეთესო სპორტსმენები. პროგრამაში იყო რბენა 500, 5.000, 1.500 და 10.000 მეტრზე.

ჩემპიონატი გახსნეს 500 მეტრზე მორბენლებმა. სტარტზე გამოვიდნენ ფინელი სალონენი და მსოფლიო ექსჩემპიონი ერიკსონი. ფინეთის ჩემპიონმა საგრძნობლად გაასწრო პარტნიორს და პირველმა დაამთავრა დისტანცია — 43,6, მაგრამ ეს შედეგი მალე გააუმჯობესა მოსკოველმა ვორონინმა. მსოფლიო რეკორდსმენი ე. გრიშინი მე-13 წყვილში გამოდიოდა, როცა მან ნახევარკილომეტრიანი დისტანცია დაამთავრა, წამზომებმა აღნიშნეს 42,3 წამი — ყველაზე საუკეთესო შედეგი. აღსანიშნავია, რომ გრიშინმა ევროპის პირველობაზე ამ დისტანციაზე აჩვენა 43,0.

შესვენების შემდეგ მოეწყო 5.000 მეტრზე რბენა. ნორვეგიელმა იუჰანსენმა ევროპის პირველობაზე დისტანცია 8.15.9-ში დაფარა და პირველ ადგილზე გამოვიდა. მაშინ მასვე დარჩა გამარჯვება 10 კილომეტრზე რბენაშიც, მაგრამ 1.500 მეტრზე საგრძნობლად ჩამორჩა ო. გონჩარენკოს, ხოლო 500 მეტრზე ათეულშიც კი ვერ მოხვდა და იძულებული შეიქნა ევროპის ჩემპიონობა საბჭოთა სპორტსმენისათვის დაეთმო. ამჯერად იგი კვლავ უძლიერესი აღმოჩნდა როგორც 5.000 მეტრზე (8.08,9), ისე 10.000 მეტრზე რბენასა და მრავალჭიდში. მოაგროვა რა ყველაზე მეტი ქულა, მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.

1.500 მეტრზე რბენაში გამარჯვებამ ბ. შილკოვს საშუალება მისცა ოთხი დისტანციის ჯამში მეორე ადგილზე გამოსულიყო. ჩემპიონატში მესამე ადგილი წილად ხვდა საბჭოთა სპორტსმენს ბ. ციბინს, რომელიც წელს პირველად მონაწილეობდა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში.

ჩვენი მკითხველები გვწერენ

ბაზა გამოუყენებელია

ფოთის იპოდრომ-სტადიონი ადრე მიმზიდველი, საინტერესო სპორტული ბრძოლების სარბიელი იყო. აქ ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები საცხენოსნო სპორტში. მაგრამ უკანასკნელ ხანებში სტადიონ-იპოდრომი თითქმის გამოუყენებელია. 1954 წლიდან დღემდე ამ ბაზაზე არც ერთი შეჯიბრება არ ჩატარებულა საცხენოსნო სპორტში.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ქალაქის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები არ იჩენენ დაინტერესებას ცხენოსნობის განვითარებისათვის. ჩვენი ნაკლოვანებანი სპორტის ამ სახეობაში მთელი სისრულით გამოვლინდა საქართველოს პირველობაზე, მაგრამ ქალაქის სპორტულმა ორგანიზაციებმა ეს გაკვეთილი ყურად არ იღეს, არავინ ზრუნავს ცხენოსნობის სექციების ჩამოყალიბებაზე, შეჯიბრებების მოწყობაზე.

ფოთის იპოდრომ-სტადიონი — ეს საუკეთესო ბაზა ცხენოსნობის განვითარებისათვის — არ უნდა იყოს გამოუყენებელი!

დ. ხოფერია,

შესაძლებლობა არის, მაგრამ...

დუშეთის რაიონში ცხენოსნობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. რაიონის ცენტრში, სოფლებში ეწყობოდა ცხენოსანთა შეჯიბრებები, რომელთაც მრავალი მაყურებელი ესწრებოდა. მაგრამ ახლა ასე არ არის. რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების უყურადღებობის შედეგად დუშეთში ცხენოსნობის განვითარება ძალზე ჩამორჩება. როცა რესპუბლიკური შეჯიბრების ვადები მოახლოვდება, ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები მაშინ დაიწყებენ კარგი ცხენოსნების ძებნას, ამას კი არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

დუშეთი მთის რაიონია. აქ ყველა პირობა არსებობს სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის, მაგრამ საქმე ძალზე დაბალ დონეზე დგას. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თხილამურების უქონლობა. რაიონის ზოგიერთი სკოლის მოსწავლეები ვარჯიშობენ თვითნაკეთი თხილამურებით. ასეთ პირობებში კარგი მოთხილამურის მომზადებაზე ლაპარაკი ზედმეტია. საჭიროა დუშელ ახალგაზრდებს შევუქმნათ სათხილამურო სპორტში მეცადინეობის ნორმალური პირობები.

მ. ყარსიმაშვილი,
ფასანაურის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი,
მ. ხუცურაული.
სოფელ ხინდისველის კოლმეურნე.

ფეხსაცმელეებთან

თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის ახალგაზრდობამ მოაწყო შეხვედრა საქართველოს 1956 წლის ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილთან და მ. ტოგონიძესთან. ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა საფაბრიკო კლუბის დარბაზში 200-ზე მეტ სპორტის მოყვარულს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირის ქალთა XVIII ჩემპიონატის შესახებ.

შეხვედრის დასასრულს ნ. გაფრინდაშვილმა ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 9 დაფაზე. 8 მოიგო და ერთი წააგო ა. კობილენკოსთან. ნ. ტოგონიძე ეთამაშა 10 მოჭადრაკეს.

მ. გედევანიშვილი,
ფაბრიკის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარე.

ჩვენი სურვილი

ფეხბურთის გულშემატკივრებს ერთი მეტად „აზირებული“ ჩვეულება აქვთ — ჭირივით ეზარებათ როცა „მათი“ გუნდის კარში გოლი გადის.

მართლაც, ძნელი ასატანი ამბავია — ათეული წლები გავიდა, რაც ვექომაგებით თბილისის „დინამოს“, გული გვეწვის მის ყოველ მარცხზე, უსაზღვროდ გვიხარია, როცა იგი იგებს, ვზივართ წვითა და დაგვით ნაშოვნ ადგილზე და ვუყურებთ როგორ მიგორავს ბურთი ცარიელ კარში.

დიახ, დიახ, მიგორავს. სწორედ ასეთ ბურთებზე გვინდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. რამდენჯერ ყოფილა, რომ დინამოელებს დიდი ხნის დაძაბული ბრძოლისა და მრავალი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ გაუტანიათ ბურთი მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ არ გასულა ხუთიოდე წუთიც და სულ უბრალო, მარტივ პოზიციაში, როცა ჩვენს მცველებს უდავო უპირატესობა აქვთ მეტოქის თავდამსხმელთა მიმართ, ბურთი მიგორავს კარში.

ჩვენ ახლაც თვალწინ გვიდგას ის ორი გოლი, რომლებიც ჩვენს კარში იქნა გატანილი ბრაზილიის გუნდთან შეხვედრაში. არც ერთი მათგანი არ უნდა გაეშვათ ჩვენს მცველებს, რომ სწორად ამოერჩიათ ადგილი საჯარიმო მოედანზე და „მხედველობიდან არ გამოპარვოდათ“ მოწინააღმდეგის თავდამსხმელები.

ამიტომაა, რომ ყოველ წელიწადს თბილისის „დინამო“ გატანილი ბურთების მიხედვით ერთ-ერთი მოწინავეა, ხოლო გაშვებული ბურთებით — ერთ-ერთი აუტსაიდერი.

ჩვენ, გულშემატკივრებს, კარგად გვახსოვს თბილისის „დინამოს“ მწვრთნელთა გასული წლის წერილი „ლელოში“. რა თქმა უნდა, დიდად სასარგებლოა ასეთი დაახლოება გუნდსა და მაყურებლებს შორის. ვსარგებლობთ რა შემთხვევით, გვინდა ვთქვათ, რომ თბილისელთა პირველი და უმთავრესი ამოცანაა დაცვის საკითხის მოწესრიგება. ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეები დაცვის დროს ხშირად უშვებენ შეცდომებს, რომლებსაც გოლი მოსდევს ხოლმე. საჭიროა მათი ურთიერთმოქმედების დეტალურად დამუშავება და შეცდომათა მინიმუმამდე დაყვანა.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვუთხრათ გაზეთ „ლელოს“ რედაქციასაც. ჩვენი სურვილი იქნება მომავალ საფეხბურთო სეზონში უფრო დეტალურად და ოპერატიულად იქნას გაშუქებული პირველობის მსვლელობა, ყოველთვის დროზე იქნას ცხრილები. გარდა ამისა, აუცილებლად საჭიროა გამოცოცხლდეს ფოტოსურათების ხარისხი. მკითხველს მობეზრდა ერთნაირი ტრაფარეტული სურათების ყურება. ყოველ მატჩში მრავლადაა ამაღელვებელი მომენტები, რომელთაგან ყოველთვის შეიძლება ლამაზი და შინაარსიანის შერჩევა გაზეთისათვის.

ვ. აბულაძე, დ. დიდიძე, გ. კავთიაშვილი, ო. კილასონია, ა. ბოგოლაშვილი, ს. გამრეკელი, გ. კობაიძე.

ინსტრუქტორები მუშაობენ

1957 წლიდან წითელწყაროს რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში გაიგზავნა ფიზკულტურის ინსტრუქტორები, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნე ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

განსაკუთრებით მკვეთრად გაუმჯობესდა მუშაობა სოფელ არბოშიკის, კალინინის და ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. ზემოქედის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი რაიონის თასის მფლობელია. რაიონის ჩემპიონები არიან აგრეთვე აქაური მოჭიდავეები. კარგი მაჩვენებლები აქვთ ფრენბურთელებს, მძლეოსნებს. წელს კოლმეურნეობამ სპორტული ინვენტარის შესაძენად გამოყო 30.000 მანეთი, მალე ზემოქედელი ფიზკულტურელები მიიღებენ სპორტულ დარბაზს.

ძალოსნობასა და ჭიდაობაში მეცადინეობისათვის სპეციალური ოთახი გამოეყოთ აგრეთვე არბოშიკის კოლმეურნე ახალგაზრდებს. აქ წელს 13 ათასი მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინეს. არბოშიკელი ძალოსნები რაიონის ჩემპიონები არიან, ხოლო საქართველოს სპარტაკიადაზე კახეთის ზონაში წითელწყაროს გუნდმა, რომელიც თითქმის მთლიანად არბოშიკის კოლმეურნეობის ძალოსნებისაგან იყო დაკომპლექტებული, მეორე ადგილი დაიკავა.

მაგრამ ყველგან ასე გულისხმიერად როდი ეკიდებიან ფიზკულტურელთა მოთხოვნილებებს. მაგალითად, წითელწყაროს ძალოსანთა და მოჭიდავეთა გუნდებს ადგილობრივმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ გამოუნახეს სამეცადინო ადგილი.

ე. ჯანუყარაშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ლაშქრობა

თუშეთის მთებმა თოვლის სქელი ნაბდები მოიხურეს. თოვლის სისქე ყოველდღიურად მატულობდა, ყინვა ძლიერდებოდა... ჩვენ მოუთმენლად ველოდით კარგ ამინდს, რათა დაგველაშქრა თუშეთის თოვლიანი მწვერვალები.

თებერვლის დამდეგს, ერთ მზიან დღეს, გზას გავუდექით. რაზმში ოთხი კაცი ვიყავით. ჯგუფმა პირველად გეზი ავიღეთ ცირო-ნაყაიჩოს ქედის უკიდურესი მწვერვალის — წითელთისაკენ. თოვლის სიმაღლე თანდათან მატულობდა, ამიტომ ამხანაგებს ა. თავბერიძეს, ვ. იდოიძეს და რ. სისაურს ვურჩიე სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთიდან ავსულიყავით. აქ ფერდობი ძლიერ დაქანებული იყო, სამაგიეროდ თოვლის სიმაღლე აღარ შეგვაწუხებდა და სვლაც შედარებით გაგვიადვილდებოდა. ასეც მოვიქეცით.

აქედან დავეშვით წითელთის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე ერთ წყალგამყოფზე. ჩვენს წინ რამდენიმე მეტრზე ვეებერთელა ზვავი დიდი სისწრაფით მიექანებოდა ქვევით და ჰაერში თოვლის კორიანტელს აყენებდა. ჩვენ ძალზე ვფრთხილობდით, რომ ზვავს არ მოვეტაცეთ, საბედნიეროდ. საფრთხეს მშვიდობიანად დავაღწიეთ თავი და შუადღისათვის უკვე შულაში ვიყავით; პირიქითის ალაზანს ამ ადგილებში ჩქარი დინება აქვს, მაგრამ სიცივეს თავისი გაუტანია და ალაგ-ალაგ მდინარე გაუყინავს. ამან ჩვენ გაგვიადვილა მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა. აქედან ჩვენი მარშრუტი მიემართებოდა პირიქითის მთების განშტოების ერთ-ერთი მწვერვალისაკენ, რომელსაც სანარის ცერს ეძახიან. ვუახლოვდებით მწვერვალს და მანძილი სულ უფრო ძნელი დასაძლევი ხდება. თოვლის სისქე თითქმის 1 მეტრსა და 20 სანტიმეტრს აღწევს. სხვა გამოსავალი არ იყო — მწვერვალზე მხოლოდ ციცაბო კლდეებით უნდა ავსულიყავით, რომლებზედაც თოვლი ჩამოხვეტილი იყო. ეს ერთგვარ რისკთანაც იყო დაკავშირებული, ოდნავ მოუფიქრებელი ნაბიჯი და ჩვენ უფსკრულში ჩავიჩეხებოდით. მზის ჩასვლისას უკვე მწვერვალზე ვიდექით. აქედან როგორც ხელის გული, ისე მოსჩანდა თუშეთი და აღმოსავლეთ დაღესტნის მთები. ამ ლამაზმა სანახაობამ ჩვენ დაღლილობა დაგვავიწყა, მაგრამ მწვერვალზე დიდხანს დარჩენა შეუძლებელი იყო, რადგან მზე სულ მალე ჩავიდოდა და ჩვენ სიბნელეში დავრჩებოდით. მწვერვალიდან ფრთხილად და მშვიდობიანად დავეშვით.

გამარჯვებით კმაყოფილები სიხარულით მივაბიჯებდით დიკლოს ვაკეზე, სოფელ შენაქოსკენ.

გ. კურდღელაიძე,

საზღვაო მრავალჭიდი

1953 წლიდან საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი რეგულარულად ატარებს ნორჩ სპორტსმენთა შეჯიბრებას საზღვაო მრავალჭიდში. ამ შეჯიბრებების პროგრამა საკმაოდ რთულია. გუნდის წევრებმა (ყოველ კოლექტივში 6 სპორტსმენია) თანაბრად კარგად უნდა იცოდნენ ცურვა, ნიჩბოსნობა, საიალქნო სპორტი, სროლა და ა. შ.

სამი წლის მანძილზე პირველობას რესპუბლიკურ შეჯიბრებაში სოხუმის დოსააფის საზღვაო კლუბის სპორტსმენები ინარჩუნებდნენ, გასულ წელს კი უძლიერესის სახელი ბათუმლებმა მოიპოვეს.

ოთხი თვის შემდეგ ჩატარდება საზღვაო მრავალჭიდელთა მორიგი შეჯიბრება. ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებისათვის მთელ რიგ ქალაქებში სერიოზულად ემზადებიან, რასაც ვერ ვიტყვით თბილისზე. კიდევ მეტიც, თბილისში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული გუნდი და რა თქმა უნდა, ვარჯიშების ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ა. ლავრენტიევი.

14 წლის ჩემპიონი

ბათუმში, „დინამოს“ საწყლოსნო სადგურზე, ჩატარდა ქალაქის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც 45 სპორტსმენი მონაწილეობდა. აქ იყვნენ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, საზღვაოსნო სასწავლებლის, სახელოსნო სასწავლებლის, რესპუბლიკური საავადმყოფოსა და სხვა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებში გამარჯვებული მაგიდის ჩოგბურთელები.

საინტერესო ბრძოლების შედეგად პირველი ადგილი და ბათუმის ჩემპიონის წოდება მოიპოვა 14 წლის ვ. თურქიამ, მეორე ადგილზე გამოვიდა მ. გუმბა, მესამეზე — ა. ქუკოვი.

ი. ბუღნიკი

მეორე თანრიგის შედეგით

ბაკურიანში ოთხ დღეს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ბორჯომის, ქუთაისის, ბათუმის, ახალქალაქისა და თელავის ძირეული კოლექტივების 11 გუნდი. 6 გუნდი (ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, სამედიცინო, უცხო ენების ინსტიტუტების, უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის) გამოიყვანა თბილისმა.

პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად ბორჯომისა (გუნდი დაკომპლექტებული იყო ბაკურიანის საშუალო სკოლის მოსწავლეებით) და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის გაჩაღდა, გამარჯვება ბორჯომის რაიონის წარმომადგენლებს დარჩათ, რომლებმაც ერთი ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გამოსულ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს.

ორგანიზებულად ჩატარდა პირადი პირველობა. ვაჟთა შორის 15 და 30-კილომეტრიან დისტანციებზე გამარჯვებული გამოვიდა ბაკურიანის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. თვაური, რომელმაც შესაბამისად აჩვენა 1:05.00 და 2:06.31.

ქალები ჩემპიონობისათვის იბრძოდნენ 5 და 10 კილომეტრზე რბენაში. აქ უძლიერესი აღმოჩნდა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი ვ. გავა, რომელმაც პირველ დღეს დისტანცია 28 წუთსა და 17 წამში დაამთავრა. მეორე დღეს კი (10 კმ-ზე) 48 წუთსა და 30 წამში. მან პირადი შედეგი კიდევ უფრო გააუმჯობესა ქალთა ამანათრბენში, როცა თავისი 5 კილომეტრიანი ეტაპი 23 წუთსა და 5 წამში გაირბინა.

როგორც ვაჟთა ამანათრბენი 4×10-ზე, ისე ქალთა ამანათრბენი 4×5 კილომეტრზე დამთავრდა ბორჯომის „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით. ვაჟთა შორის მეორე ადგილი წილად ხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტს, მესამე — ახალქალაქის გუნდს.

40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო ზ. თვაური (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც 208 ქულა მოაგროვა. მისი თანაგუნდელი სპორტის ოსტატი მ. გავა გამოვიდა მეორე ადგილზე. მესამე ადგილი მოიპოვა ბორჯომის გუნდის წევრმა, კობა წაქაძის ძმამ ჯ. წაქაძემ.

სამთო ორჭიდში 438,7 ქულით ჩემპიონობა დაისაკუთრა ჯ. თვაურმა (ბორჯომი), ზ. თვაური და ჯ. წაქაძე მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ.

შეჯიბრება სლალომსა და სწრაფდაშვებაში ჩატარდა კოხტა გორაზე. ვაჟთა შორის ორივე სახეობაში უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი მ. გავა, რომელმაც სლალომის ტრასა დაამთავრა 35,5 წამში, ხოლო სწრაფდაშვებისა—33,1 წამში. ორივე ეს შედეგი მხოლოდ მეორე თანრიგის ნორმაა. ასევე დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრეს შეჯიბრება ო. ხვედელიძემ (ბორჯომი), გ. ჯაფარიძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს სლალომში.

ქალთა შორის სლალომში 13 მონაწილე გამოდიოდა. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. სპორტის ოსტატი ა. ფროლოვა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 1.10,4; II. ლ. გოგოლაძე (ბორჯომი) — 1.14,8; III. თ. ფურცელაძე (უნივერსიტეტი) — 1.16,6. ა. ფროლოვას დარჩა გამარჯვება სწრაფდაშვებაშიც.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა, მაგრამ მრავალრიცხოვანი მონაწილიდან, რომელთა შორის იყვნენ ოსტატები და პირველთანრიგოსნები, არც ერთმა არ უჩვენებია მეორე თანრიგზე უკეთესი შედეგი.

გ. ოთარაშვილი

„მცირე სპარტაკიადა"

◆

თბილისისა და მინსკის ნაკრები გუნდების შეხვედრა კლასიკურ, თავისუფალ ჭიდაობებსა და სიმძიმეთა აწევაში

◆

ასეთი მარათონული შეჯიბრება თბილისელ სპორტის მოყვარულებს დიდი ხანია არ უნახავთ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო ცირკი 7 საათის მანძილზე მთლიანად სპორტსმენთა ინტერესებს ემსახურებოდა, მაყურებელს დაღლა ოდნავადაც არ უგრძვნია. სანახაობა სანახაობას ცვლიდა, სპორტის ერთი სახეობა — მეორეს და სპორტულ ღონისძიებებს მოწყურებული თბილისელები ცირკის ვეებერთელა ამფითეატრში თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა სამართლიანი სინანულით აღნიშნა, რომ ასეთ შეჯიბრებას უფრო დიდი, უფრო ტევადი სპორტული ბაზა ეკადრებაო. ჩვენ არ ვიცით მას მხედველობაში ჰქონდა თუ არა „სპარტაკის" სადემონსტრაციო დარბაზის გაჭიანურებული მშენებლობა, მაგრამ ნათქვამი ნამდვილად გვენიშნა. სპორტის რამდენი მოყვარული ვერ მოხვდა ამ დღეს სახელმწიფო ცირკში იმიტომ, რომ შენობის ტევადობა ძალზე უმნიშვნელო აღმოჩნდა მაყურებელთა რიცხვთან შედარებით: მინსკისა და თბილისის სპორტსმენთა ამხანაგურ შეხვედრაზე დასწრება მსურველთა მხოლოდ მცირედი ნაწილის ხვედრი აღმოჩნდა.

ამ ამხანაგურ შეხვედრას, ორი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქების სპორტსმენთა „მცირე სპარტაკიადას" დიდი ხანია ელოდა თბილისი. ელოდა, რადგან ბოლოსდაბოლოს საშუალება მიეცა თავის სპორტსმენთა გამოსვლები ენახა „საკუთარ მოედანზე", საკუთარი თვალით. მოწინააღმდეგეც საკმაოდ ძლიერი და ღირსეული იყო. ბელორუსიის ძალოსნებმა საკავშირო სპარტაკიადაზე მე-6 ადგილი დაიკავეს ე. ი. სამი ადგილით უკეთესი, ვიდრე საქართველოს სპორტსმენებმა. ეს უკვე საკმაოდ ბევრს ნიშნავდა. პროგრამის მეორე სახეობაში ძალები დაახლოებით თანაბარი უნდა ყოფილიყო. საქართველოს მოჭიდავეებმა (კლასიკური) საკავშირო სპარტაკიადაზე მეოთხე საპრიზო ადგილი დაიკავეს, ბელორუსიის სპორტსმენებმა — მეხუთე. თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისუფალ ჭიდაობაში უპირატესობა შეხვედრის დაწყებამდე საქართველოს სპორტსმენთა მხარეს იყო, რადგან სპარტაკიადაზე მოპოვებული მეორე ადგილით და გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე საერთაშორისო კლასის მოჭიდავის გამოსვლით, მინსკის ნაკრები კოლექტივის წინააღმდეგობა წინასწარ მორალურად იყო გატეხილი. ბელორუსიელები ჭიდაობის ამ სახეობაში უძლიერესთა ცხრილში მე-9 ადგილს იკავებენ და მაინცდამაინც დიდი პრეტენზიებით არ იყვნენ, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ისეთ მარცხს თავისუფალ ჭიდაობაში, როგორიც მათ ამ დღეს განიცადეს, სრულებით არ მოელოდნენ. ხომ შეხვდნენ ისინი სპარტაკიადის ჩემპიონს, ლენინგრადის ნაკრებ გუნდს? მართალია, წააგეს მათთან მატჩი, მაგრამ ანგარიშის მიუხედავად (6:2) ბრძოლა ყოველ წონით კატეგორიაში თანაბარზე უფრო თანაბარი იყო. მაშ რა მოხდა აქ? თუმცა აჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

საქალაქთაშორისო შეხვედრის გახსნის ტრადიციულ ცერემონიალს, მილოცვებსა და მისალმებებს მოჰყვა ძალოსანთა გამოსვლები. მინსკის გუნდის შემადგენლობა ზუსტად ისეთი იყო, როგორიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. მძიმე წონაში სტუმრების კოლექტივის ღირსებას იცავდა ა. ხალფინი. ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ძალოსანთა სიაში იგი მე-11 ადგილზეა. მისი მოწინააღმდეგე რ. დათიკაშვილი კი — მე-19 ადგილზე. ქვემსუბუქ წონაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის რ. ჩიმიშკიანის წინააღმდეგ გამოდიოდა გ. ვორონა (მე-18 ადგილი). ძლიერი ძალოსანი ჰყავდათ სტუმრებს მსუბუქ წონაში — გ. გოლდშტეინი. სპარტაკიადაზე იგი მეხუთე საპრიზო ადგილზე იყო. მისი მოწინააღმდეგე ტ. წერალოვი გასულ წელს მოსკოვში უკანასკნელ ადგილზე გამოვიდა, რადგან პირველსავე მოძრაობაში, აჭიმვაში, შეუფასებელი დარჩა. ქვესაშუალო წონის მ. კუზმინი (ბელორუსია) საბჭოთა კავშირში მე-14 ადგილზეა. სპარტაკიადაში ამ წონაში საქართველოდან შ. წერეთელი გამოდიოდა (მე-20 ადგილი). თბილისის გუნდის ღირსებას სამატჩო შეხვედრაში იცავდა რ. გალოიანი. ი. ნოვიკი (საშუალო წონა) სპარტაკიადის პრიზიორია, ი. შივცი (თბილისი) კი — მე-11 ადგილზე იყო. ქვემძიმე წონაში მოწინააღმდეგეთა ძალები დაახლოებით თანაბარი უნდა ყოფილიყო, რადგან ვ. ტურუკინმა სპარტაკიადაზე მე-7 ადგილი დაისაკუთრა, ხოლო ქ. ებრალიძემ — მე-9. მძიმე წონის ძალოსანთა შორის აშკარა უპირატესობა ე. ნოვიკოვის მხარეს იქნებოდა, რადგან იგი საბჭოთა კავშირში მოსკოველი ა. მედვედევის შემდეგ მეორეა. თბილისის გუნდიდან ამ წონაში გ. კოშაძე გამოდიოდა. იგი არ არის მძიმე წონის ძალოსანი, მაგრამ ეს გუნდის ინტერესებით იყო გამოწვეული.

ჩვენ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, მინსკელი ძალოსნები გასახდელში ვნახეთ. ისინი ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ, ბევრს ხუმრობდნენ, იცინოდნენ. მინსკელები კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი გამოსვლებით და განსაკუთრებით იმით, რომ თბილისში მათ ხუთი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესეს. უმჩატესი წონის ძალოსანმა ა. ხალფინმა გარდა იმისა, რომ გაიმარჯვა რ. დათიკაშვილთან ორთაბრძოლაში, ორი ახალი რეკორდი დაამყარა — აჭიმვაში 102,5 კგ და სამჭიდის ჯამში 315 კგ. ეს შედეგი სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება და ამავე დროს საერთაშორისო კლასის შედეგია. 315 კილოგრამით მოსკოველმა ვილხოვსკიმ სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. დათიკაშვილის შედეგი სამჭიდში 290 კგ იყო. ჩიმიშკიანის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. 342,5 კგ. სამჭიდის ჯამში საგრძნობლად აღემატება მისი მოწინააღმდეგის გ. ვარონას შედეგს — 292,5 კგ. მაგრამ ბრძოლა ამ ორ სპორტსმენს შორის ამით არ დამთავრდა. როგორც მინსკელმა, ისე თბილისელმა ძალოსანმა გაილაშქრეს რეკორდებზე. პირველმა სცადა რესპუბლიკური რეკორდის, ხოლო მეორემ — მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება. ვორონამ მიზანს მიაღწია და იკრა 120 კილოგრამი. ჩიმიშკიანის განზრახვა უფრო რთული და საპატიო იყო. თბილისელს ცოტა დააკლდა, თავისივე რეკორდის გაუმჯობესებამდე, მაგრამ საქმე ამ ცოტაშია. ძველი რეკორდი აკვრაში 143 კილოგრამი კვლავ ძალაში დარჩა.

მსუბუქი წონის გ. გოლდშტეინიც სხვებსავით ბედნიერი გამოდგა. მან ორი შესწორება შეიტანა რეკორდების ცხრილში: აჭიმვაში — 115 კგ და სამჭიდში — 367,5 კილოგრამი. ტ. წერალოვიც არ ჩამორჩა მეტოქეს. აჭიმვაში მანაც გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი — 115 კგ, თუმცა, პირველობისათვის ბრძოლაში დამარცხდა. თბილისელმა გალოიანმა მოუგო კუზმინს, ხოლო შივცმა (თბილისი) წააგო ნოვიკთან. მიუხედავად ამისა, შივცმა მაინც ისახელა თავი და აჭიმვაში გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი — 122,5 კგ. ქვემძიმე წონაში ქ. ებრალიძემ აიღო რევანში ტურუკინთან სპარტაკიადაზე წაგებისათვის და გაიმარჯვა შედეგით 412,5 კგ. მძიმე წონაში ნოვიკოვი ყოველგვარი კონკურენციის გარეშე მუშაობდა და იოლ გამარჯვებასაც მიაღწია — 450 კგ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მინსკელმა ძალოსნებმა. ისინი წინ იყვნენ 4 წონით კატეგორიაში შვიდიდან.

ძალოსნები სარბიელზე კლასიკურმა მოჭიდავეებმა შეცვალეს. მინსკის მოჭიდავეებმა თბილისში ჩამოსვლამდე რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს ესტონეთის, ლატვიისა და ლენინგრადის სპორტსმენებთან. გამარჯვება ყველგან ბელორუსიის სპორტსმენთა მხარეს იყო. ამჯერად კი მათ აქტივში პირველი წაგება ჩაწერეს, თუმცა მატჩის დასაწყისი თბილისის გუნდს კარგს არაფერს უქადდა. პირველთანრიგოსანმა ი. ტუხაშვილმა წააგო ქულებით ი. ლაქტიონოვთან, ხოლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ო. კარავაევმა თანაბარ ბრძოლაში დაამარცხა ი. ძებისაშვილი. პირველი გამარჯვება თბილისის გუნდს მოუტანა სპორტის ოსტატმა მ. ღუდუშაურმა. მან ლამაზ სტილში მოუგო შეხვედრა ახალგაზრდა მინსკელ ე. ბაის. მიუხედავად იმისა, რომ მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი რ. ძნელაძე მაღალ წონით კატეგორიაში (მსუბუქში) გამოდიოდა, მისი უპირატესობა ვ. ქიტინოვთან აშკარა იყო. ქულებით წაგება ასეთ მრისხანე მოწინააღმდეგესთან ახალგაზრდა მინსკელისათვის უდავოდ საპატიო შედეგია.

შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, ჩოქბჯენში მუშაობის მაღალი ტექნიკა და ტაქტიკური სიმწიფე გამოამჟღავნა სპორტის ოსტატმა ზ. ჭითავამ. მან მინსკელი ვ. პეპელოვი ორჯერ დაიჭირა ილეთზე. სუფთა გამარჯვება ორჯერვე სულ ახლოს იყო, მაგრამ უკანასკნელ წამებში პეპელოვი ახერხებდა გასხლტომას. ჭითავამ კიდევ ერთხელ გაიმეორა ილეთი, რასაც მინსკელმა ხიდურით უპასუხა, მაგრამ ნათქვამია, „კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანსო". პეპელოვს მეტი ძალა აღარ ჰქონდა და „ბეტონის" ხიდი სულ მალე ჩატყდა. თანამემამულის სუფთა წაგებამ ნამდვილად გაამწარა სპორტის ოსტატი კუცენკო და მან ისეთი ძალით შეუტია სინაურიძეს, რომ აშკარა გახდა იგი რევანშის აღებას აპირებდა. სულ მალე, მე-4 წუთზე, კუცენკომ „სირცხვილისაგან" იხსნა კოლექტივი და ჩაიწერა სუფთა გამარჯვება.

რ. აბაშიძემ ჩოქბჯენში რამდენიმე ქულა გაუკეთა მ. ჩიპარიოვს და გაინაღდა გამარჯვება. ო. კანდელაკისათვის ვ. ნემოვთან ბრძოლა უფრო ვარჯიშს წარმოადგენდა, ვიდრე შეჯიბრებას. მესამე წუთამდე მეტოქეები შორიდან უვლიდნენ და „მორიდებულად აწუხებდნენ" ერთმანეთს. მეოთხე წუთზე, როგორც ჩანს, კანდელაკმა გადაწყვიტა კმარაო, ძლიერად მოიზიდა ნემოვი და დააწვინა ბეჭებით ხალიჩაზე. ეს იყო თბილისის გუნდის მეხუთე გამარჯვება. მინსკელებმა უპირატესობა მხოლოდ სამ წონით კატეგორიაში მოიპოვეს.

ზემოთ ვამბობდით, რომ მინსკის მოჭიდავეები არ მოელოდნენ ასეთ სასტიკ დამარცხებას თავისუფალ ჭიდაობაში, მართლაც ისინი ფიქრობდნენ წაგებას, მაგრამ მხოლოდ ექვს წონაში. ჩვენს შეკითხვაზე, რომელ მოჭიდავეებზე ამყარებდნენ იმედებს, მათ მხოლოდ გაიღიმეს და უარყოფითად გააქნიეს თავი. აქსიონოვი ნამდვილად უძლიერესია გუნდში. იგი საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორია. მაგრამ გამარჯვების რა შანსები უნდა ჰქონოდა მას, როდესაც მისი მოწინააღმდეგე გ. სხირტლაძე იყო? ა. კაცოვიჩიც სპარტაკიადის პრიზიორია, მაგრამ იგი ნამდვილად ვერ მიუდგება გაბარაევს. შეიძლება სტუმრებს იმედი ჰქონდათ უმჩატეს წონაში ბ. დროზდის და ქვემსუბუქ წონაში ბ. სლუსკინის, რადგან მათ მოწინააღმდეგეებს საკმაოდ უცხო გვარები ჰქონდათ: ო. ეგაძე და უ. ბარნაბიშვილი.

მაგრამ სიურპრიზები სწორედ მათგან დაიწყო. ეგაძემ სულ ოთხოდე წუთის შემდეგ დააყრევინა ფარხმალი დროზდს, ხოლო ბარნაბიშვილმა ბ. სლუსკინი ექვს წუთში მიაჯაჭვა ხალიჩაზე. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი დაახლოებით ორ წუთს იდგა ხიდურზე, მაგრამ ბოლოს ძალა გამოელია და მორჩილად დანებდა ბარნაბიშვილს. ამ დღეს მხოლოდ ა. მაისურაძემ იჭიდავა 15 წუთს. მან ქულებით დაამარცხა სპორტის ოსტატი ლოსიკი. გაბარევს მხოლოდ 4 წუთი დასჭირდა ო. კაცოვიჩზე გამარჯვებისათვის, ბალავაძემ 11-წუთიანი დევნის შემდეგ დაიჭირა ი. გეიმანი და გაიმარჯვა. ნ. აქსიონოვი ჯიუტ ეკვეთა გ. სხირტლაძეს და ასეთი კადნიერებისათვის სულ მალე დაისაჯა. მინსკელი მხოლოდ 4 წუთს იყო ხალიჩაზე. დაუშვილმა და ბათლიძემ დაწყებისთანავე მოიპოვეს სუფთა გამარჯვება ი. იურჩიკსა და ი. დავიდოვზე.

თბილისის მოჭიდავეთა ეს გამარჯვება ნამდვილად ბრწყინვალე იყო ბრძოლას 7 წონით კატეგორიაში სულ 35 წუთი დაჭირდა. რვა შეხვედრიდან რვა გამარჯვება და მათ შორის 7 სუფთად — ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ თბილისის მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივი უძლიერესია ჩვენს ქვეყანაში.

ნ. ახვლედიანი

• • •



სურათებზე: ქვემძიმე წონის ძალოსანი ხ. ებრალიძე (მარცხნივ) ფიცარნაგზე გასვლის წინ. ტ. წერალოვმა დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი, მსაჯი ამოწმებს მის წონას. ქვევით — თავისუფალი ჭიდაობის ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

რესპუბლიკის ჩემპიონობისათვის

საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა ბრძოლა II ტურში. ყველაზე ადრე დამთავრდა იზვოშჩიკოვ-ბუსლაევის პარტია. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ესპანურ პარტიაში პერსპექტივიანი თამაში მიიღო, მაგრამ იჩქარა. ბუსლაევმა დამაჯერებლად უკუაგდო მცდარ საფუძველზე აგებული მხედრის შეწირვა. შემდეგ იზვოშჩიკოვი კიდევ შეცდა, როდესაც პაიკის დათმობის ნაცვლად კუ წააგო. 28-ე სვლაზე ახალგაზრდა მოჭადრაკემ შეწყვიტა თამაში.

დანარჩენ შეხვედრებში ბრძოლის სიტუაცია ნელა იცვლებოდა. ელისო კაკაბაძე მეთოდურად იგერიებდა არნშტეინის მძაფრ პოზიციურ მანევრებს, ბლაგიძე და ჭყონია პოზიციას მაქსიმალურად ამწვავებდნენ, ჯანოევი ამზადებდა კიკიანის მეფეზე იერიშს. ელიოზიშვილი და თხელიძე გართული იყვნენ ფიგურებისათვის ხელსაყრელი უჯრედების დაკავებით.

დადგა თამაშის მეოთხე საათი და დაფებზე გაირკვა მდგომარეობა. თოთლაძეს არ ეყო საფიქრებლად წუთები გამრეკელთან, გადააცილა საკონტროლო დროს და დამარცხდა. კალატოზიშვილი დასაწყისში არ გაურბოდა გაცვლებს, ხოლო როდესაც დაფაზე საყაიმო ვითარება შეიქმნა, მან დაჟინებით დაიწყო მოგებაზე თამაში. მაგრამ ბრეიტმანი მშვიდად უვნებელყოფდა მუქარებს. 44-ე სვლაზე ყაიმი გარდუვალი გახდა.

ცაიტნოტში გადაწყდა დემურია-ლომაიას პარტიის ბედი. 43-ე სვლაზე მხედრის გარდუვალი დაკარგვის გამო ლომაიამ მიულოცა მოწინააღმდეგეს გამარჯვება. ჭყონიამ ეტლების გაცვლის შემდეგ თამაშის არასწორი გეგმა აირჩია. მან შეცდომით ლაზიერებიც გაცვალა. ამან ბლაგიძეს დაბოლოებაში უპირატესობა მისცა. თბილისელმა იგი სხარტად გამოიყენა და გაიმარჯვა. ელიოზიშვილმა ფიგურების განვითარება დაასწრო თხელიძეს. კომბინაციურ გართულებებში თხელიძემ ორ მსუბუქ ფიგურაში ლაზიერი დაკარგა, რამაც ელიოზაშვილის სასარგებლოდ გადაწყვიტა პარტიის შედეგი. კიკიანმა ვერაფერი ვერ დაუპირისპირა ჯანოევის მძაფრ შეტევას და ფიგურის წაგების შემდეგ დანებდა.

როდესაც არნშტეინს შუა თამაშში არაფერი არ გამოუვიდა, მან ლაზიერები გაცვალა. მაგრამ აქაც მოჭადრაკე ქალი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. კიდევ მეტი, მას შეეძლო პაიკის მოგებაც. პარტია გადაიდო შედარებით თანაბარ მდგომარეობაში.

III ტურში ყველას უკმაყოფილება გამოიწვია ბუსლაევ-ბლაგიძის პარტიამ. გამოცდილმა მოჭადრაკეებმა, რომლებისგანაც ტურნირის მონაწილე ახალგაზრდობა ნამდვილ ბრძოლას მოელოდა, პარტია 9 სვლაში ყაიმით დაამთავრეს.

ლომაია-ჯანოევის შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა. თოთლაძემ კალატოზიშვილთან ფიგურა და შემდეგ პარტია წააგო. კიკიანმა დამაჯერებლად გამოიყენა ბრეიტმანის შეცდომები და ტყვარჩელის წარმომადგენელს პირველი დამარცხება მიაყენა.

რთული იყო ელისო კაკაბაძე-დემურიას პარტია. კომბინაციურ გართულებებს მოჰყვა საყაიმო ენდშპილი, მაგრამ აქ ცაიტნოტში მყოფმა კაკაბაძემ უხეში შეცდომით ეტლი დაკარგა და დანებდა. სამი პარტია გადაიდო.

რაიონის პირველობა

მაიაკოვსკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული გუნდური პირველობა ჭადრაკში. I ადგილი 20 ქულით დაიკავა როხის სასოფლო კლუბის გუნდმა, რომელმაც 2,5 ქულით გაუსწრო II ადგილზე გამოსულ ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოჭადრაკეებს.

გ. მჟავანაძე,

რატომ წავიდა რინგიდან როკი მარჩიანო

როკი მარჩიანოს არ ეშინოდა, როდესაც მას მარცხნიდან მწარე დარტყმას მიაყენებდნენ.

არც წარბის გახეთქვის გამო შეწყვეტდა ბრძოლას.

არც ნესტოს გაგლეჯის შემთხვევაში.

* * *

„— მე დავიღალე“.

ასე მოკლედ და ლაკონიურად მოუჭრა მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონაში როკი მარჩიანომ მრავალრიცხოვან კორესპონდენტებს, რომლებიც ბუზებივით დაეხვივნენ „თეთრ ჯო ლუისს“ ინტერვიუს მისაღებად, როცა მან ოფიციალურად განაცხადა თავისი სურვილი რინგის დატოვების შესახებ.

გასაკვირი და გასაოცარი აქ, მართლაც, ბევრი იყო. ამერიკულ პროფესიონალურ კრივში ისეთი ბრწყინვალე კარიერის გაკეთება, როგორიც მარჩიანოს ჰქონდა, ადვილი როდია. მით უმეტეს ძნელია ეს თეთრკანიანი მოკრივისათვის, რომლებსაც, თუმცა ამერიკის კრივის უფალნი ყოველმხრივ უწყობენ ხელს ბიზნესის გაკეთებაში, მაგრამ შავკანიან მოკრივეებს საშინელი ძალის დარტყმა და ჯადოქრული რეაქცია აქვთ და მათთან ბრძოლა უაღრესად ძნელი საქმეა.

მაგალითად, განა ვინმეს მოუვიდოდა აზრად რინგზე საბრძოლველად გამოსულიყო იმ იმედით, რომ მოუგებდა „შავ ყუმბარმშენს“ ჯო ლუისს, რომელმაც თავისი ფენომენალური გამარჯვებებით დაჩრდილა კრივის ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ ჯეკ ჯონსონი, ჯემს ჯეფრისი, პიტერ ჯეკსონი, ალფონსო ბრაუნი, მაქს ბერი, ჯეკ დემპსი. სანამ ლუისს ლუისი ერქვა და შიშის ზარს სცემდა „დიდ რინგს“ ყველაფერი წესრიგში იყო — მაყურებელი ზღვასავით აწყდებოდა დარბაზს „რინგის საოცრების“ სანახავად და ოფლით ნაშოვნი დოლარები ჟღარუნით ცვიოდა ბიზნესმენთა უძირო ჯიბეში.

ვინ დათვლის, რამდენი მილიონი დოლარი იშოვნეს „ნიუ-იორკ ბოქსინგ კომიშენისა“ და სხვა ასოციაციების გამგებლებმა ჯო ლუისის ხელთათმნის წყალობით, მაგრამ ჯოს ერთი დიდი მტერი ჰყავდა, რომელიც ადრე თუ გვიან აიძულებდა მას ხელი აეღო უპრეცენდენტო დიქტატურაზე მძიმე წონაში. ეს მტერი მისი ასაკი იყო. ჯო ლუისმა დაუმარცხებლად დატოვა რინგი.

კრივის ასოციაციებმა მრავალგვარი ვარიანტები სინჯეს: პრეტენდენტების ტურნირები ჩაატარეს, მაგრამ ღირსეული ჩემპიონი ვერაფრით ვერ შეარჩიეს. ყველაზე მეტი უფლება ამ ტიტულის მისაღებად ზანგებს ჯესი უოლკოტსა და ეზარდ ჩარლზსა ჰქონდათ. მათ შორის მოეწყო კიდეც მატჩი, რომელიც ჩარლზმა მოიგო, მაგრამ საერთო აზრით არც ეს მოკრივეები იყვნენ ნამდვილი ჩემპიონები.

სწორედ მაშინ გამოჩნდა თეთრკანიანი როკი მარჩიანო. მართალია, მას არ ჰქონდა ისეთი ეფექტური გარეგნული შესახედაობა, ე. წ. მოკრივის „ფასადი“, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკულ რინგზე, მაგრამ მარჩიანოს უდიდესი ძალა, გამძლეობა და ნებისყოფა გააჩნდა და შეუცდომლად აზროვნებდა. მისი გონება ყოველთვის ნათელი და სალი იყო მაშინაც კი, როცა იგი რინგის კუთხეში მომწყვდეული თავს ძლივს იცავდა საშინელი ძალის დარტყმებისაგან, ეს კი დიდი, დიდი უპირატესობაა კრივში.

როკი მარჩიანომ ბავშვობიდანვე მწარედ იგრძნო თუ რა არის ამერიკაში სიღარიბე. პატარა ბიჭუნა დღედაღამეს ასწორებდა შავ სამუშაოზე, წელებზე ფეხს იდგამდა, რათა ორიოდე ცენტი ეშოვნა სახლში მისატანად. შემდგომში როკი ჯარში გაიწვიეს და აქ მან კრივში მეცადინეობა დაიწყო. დემობილიზაციის შემდეგ იგი რინგზე გამოდიოდა როგორც მოყვარული, მაგრამ პროფესიონალური კრივის სპეციალისტებმა მალე შეამჩნიეს, რომ მას შესანიშნავი მონაცემები ჰქონდა დიდი ასპარეზისათვის და მარჩიანოს გარშემო სხვადასხვა ფერის ბნელმა პიროვნებებმა იწყეს ფუსფუსი.

როკამ ჩინებულად იცოდა, რას წარმოადგენდა პროფესიონალური კრივის კულისები, ხედავდა რა ბედი ელის მოკრივეს რინგის შემდეგ. იცოდა თუნდაც ჯო ლუისის ბედი, რომელსაც რაღაც მანქანებით 1 მილიონზე მეტი ვალი აღმოუჩინეს სახელმწიფოს წინაშე და იგი იძულებული გახდა ჭიდაობისათვის მოეკიდა ხელი დოლარის საშოვნელად. მაგრამ მარჩიანო გაჭირვებამ აიძულა მოყვარულის ხელთათმანები გაეცვალა პროფესიონალის 170-გრამიან ხელთათმანებზე, რომელშიც დარტყმას გაცილებით მეტი ძალა და სიმწვავე აქვს.

დაიწყო წვრთნა. მარჩიანოს ზუსტად ჰქონდა დაგეგმილი სავარჯიშო დღე, ურყევად იცავდა რეჟიმს და ერთი ნაბიჯითაც არ უხვევდა მწვრთნელის დავალებას. გაზეთები წერდნენ, მაგალითად, რომ კისრამდე წყალში ჩამდგარი მარჩიანო საათობით ვარჯიშობდა მარჯვენა აპერკოტის გამომუშავებისათვის.

დრო გადიოდა და როკის დარტყმები სულ უფროდაუფრო საშინელ ძალას ღებულობდა. სპარინგებზე მოწინააღმდეგეები მოცელილივით ეცემოდნენ ძირს და შემდეგ მას თვითვე უხდებოდა დაზარალებულის თავთან ჯდომა ექიმის ოთახში და მისი მოვლა. ერთ-ერთ ბრძოლაში მან ისეთი ძალის დარტყმით ჩააგდო ნოკაუტში კარმინო ვინგო, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მარჩიანოს 48 საათის განმავლობაში ფეხი არ გამოუდგამს საავადმყოფოდან და როცა ვინგო გადარჩა 2500 დოლარი მისცა მას სამკურნალოდ.

მარჩიანოს ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. მან მე-13 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ჯერი უოლკოტი და მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგ მან არაერთხელ დაიცვა თავისი ეს ტიტული ეზარდ ჩარლზთან, დონ კოკელასთან და სხვებთან. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, მაგრამ როკი მარჩიანო არასოდეს არ გამხდარა „რინგის ტურად“, რომელიც არაფერს არ ერიდება დოლარის გულისათვის, არ ერიდება მაქინაციებს, აფერისტობას. მარჩიანო ნათელი აზროვნების, გულკეთილი და ჰუმანური ადამიანი იყო და კრივის წუმპეში ჩაფლობას ერჩია ამხანაგები, მეგობრები, ლიტერატურა. როცა როკიმ 1951 წლის 26 ოქტომბერს მოუგო ჯო ლუისს, უკეთ რომ ვთქვათ ლუისის ლანდს, რომელიც რინგზე დაბრუნდა თავისი ვალის დასაფარავად, მან განაცხადა: „მე ღრმად ვწუხვარ, რომ იძულებული გავხდი დამემარცხებინა ამერიკელი ახალგაზრდობის ეს სათაყვანებელი კერპი“.

მარჩიანომ ცოლი ითხოვა, სახლიც აიგო, მაგრამ საკუთარი ცხოვრება მას არ ჰქონდა. განუწყვეტელი წვრთნა, კონტრაქტები და მოგზაურობა ჩემპიონს საშუალებას არ აძლევდა გამოეყო დრო მეუღლისა და ბავშვისათვის. გამუდმებული რეჟიმი, ნერვების არაადამიანური დაძაბულობა მძიმე ლოდად აწვა მას გულზე.

ამერიკული რინგის საშინელება სულ უფროდაუფრო ხუთავდა როკი მარჩიანოს. ყოველ ახალ შეხვედრას ახალი ტრავმა მოჰქონდა მისთვის ან მისი მოწინააღმდეგისათვის, სულ უფრო ხშირად ესმოდა მას საზარელი ცნობები ამხანაგების სიკვდილის ან დასახიჩრების შესახებ რინგზე. რამდენი სიცოცხლით სავსე ახალი მეგობარი შეიძინა მან და რამდენი მათგანი შემორჩა ხელში ნახევრადმეშლილი, დამახინჯებული, გაუბედურებული, რამდენი მათგანი იწვა ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებში სიკვდილის პირად.

მაგრამ მარჩიანომ წინდახედულად აწონ-დაწონა აწმყოცა და მომავალიც. შვიდჯერ გაზომა და ერთხელ მოჭრა — მან გადაწყვიტა 33 წლის ასაკში დაეტოვებინა რინგი. მას აღარ სურდა არც ფული, არც დიდება, არც მჭუხარე სახელი. მას ადამიანური ცხოვრება და მყუდროება ერჩია.

მართლაც, საოცარი იყო როკი მარჩიანოს კარიერა. სულ 49 ოფიციალური ბრძოლა ჩაატარა მან რინგზე, მაგრამ ყველა ეს შეხვედრა შესანიშნავი, დიდი კრივის დემონსტრაცია იყო. უკანასკნელი, 49-ე ბრძოლა როკი მარჩიანოს ქვემძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონ არჩი მურთან ჰქონდა. მახლობლები, მეგობრები, მენეჯერები ყელს იგლეჯდნენ ხვეწნით არ შეეწყვიტა თავისი კარიერა, მაგრამ ჩემპიონის გადაწყვეტილება ურყევი იყო. მან შესანიშნავად ჩაატარა თავისი ბოლო მატჩი, ნოკაუტით მოიგო იგი და წავიდა რინგიდან.

წავიდა ისე, რომ აღარ დაბრუნებია მას.

ბ. დანდურიანი



სამაგიეროდ ასეთი უძლიერესი დარტყმით უმასპინძლდებოდა მოწინააღმდეგეს.

საინტერესო ღონისძიებები

საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში თბილისის კომიტეტმა არა ერთი და ორი სამატჩო შეხვედრა გამართა მოძმე რესპუბლიკების ქალაქების სპორტსმენებთან, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. მიმდინარე წელს თბილისელი სპორტსმენები მატჩებს გამართავენ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. მარტში ბაქოში მოეწყობა თბილისის, ერევნის, ბაქოსა და როსტოვის კალათბურთელთა სამატჩო შეხვედრა. თბილისში ერთმანეთს შეეჯიბრებიან ვილნიუსისა და თბილისის თავისუფალი მოჭიდავეები, ლენინგრადისა და თბილისის ფრენბურთელები; კიევის, ბაქოსა და თბილისის წყალბურთელები. ჩვენი დედაქალაქის „დინამოს“ ზამთრის აუზში ჩატარდება მინსკის, კიევის, ლვოვისა და ადგილობრივ მოცურავეთა ამხანაგური შეხვედრები.

თბილისელ და ლენინგრადელ აკრობატთა სამატჩო შეხვედრა გაიმართება აპრილში. ამ თვეში თბილისში მოეწყობა, აგრეთვე ადგილობრივ და კიეველ მოკრივეთა მატჩი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ესტუმრებიან ლენინგრადელი მოჭიდავეები.

საინტერესო სამატჩო შეხვედრებია ნავარაუდევი მაისში. 1-10 მაისს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ითამაშებენ ბაქოელი, ერევნელი და თბილისელი მოჭადრაკეები. ქართველი სპორტსმენები 15 მაისიდან ერთ კვირას დაჰყოფენ როსტოვში, სადაც გამართავენ მატჩს ადგილობრივ მოჭადრაკეებთან. თბილისში მოეწყობა თბილისელ და ბაქოელ ჭაბუკ მოცურავეთა შეხვედრა. თბილისში ჩამოვლენ ტალინისა და რიგის ვაჟ და ქალ კალათბურთელთა გუნდები.

არც ისე დიდი ხნის წინათ სპორტის მოყვარულებმა „დინამოს“ სტადიონზე პირველად იხილეს ხელბურთელთა მატჩი ადგილობრივი გუნდების მონაწილეობით. სპორტის ამ სახეობის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით ფიზკულტურის თბილისის კომიტეტს გადაუწყვეტია ივნისსა და ოქტომბერში მოიწვიოს კიევისა და ლვოვის გუნდები. ივნისში საფარიკაო ბილიკებზე გამოვლენ მოსკოვის, ლვოვის, მინსკისა და თბილისის საუკეთესო სპორტსმენები.

წლის მეორე ნახევარში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება სამატჩო შეხვედრები, აგრეთვე კრივსა და ველოსპორტში ლენინგრადთან (ოქტომბერ-ნოემბერში), ფრენბურთში კიევთან (ოქტომბერში), სპორტულ ტანვარჯიშში ლენინგრადი, კიევი, თბილისი (სექტემბერში), ნიჩბოსნობაში ბაქოსთან (ოქტომბერში). თბილისის „მონკავშირის“ სტენდზე 15-დან 22 აგვისტომდე ერთმანეთს შეეჯიბრებიან თბილისის, მოსკოვის და ლენინგრადის სპორტსმენები. სექტემბერში გაიმართება კიევის, ტალინისა და თბილისის ჩოგბურთელთა შეხვედრა.

კალენდარით არა ერთი და ორი კომპლექსური ღონისძიების ჩატარებაა ნავარაუდევი. თბილისში ტრადიციად იყო შემოღებული ქალთა დღესასწაულის დღეებში ქალთა სპარტაკიადის ჩატარება. რატომღაც ეს ტრადიცია შარშან დაირღვა და შეხვედრები წლის ბოლოს მოეწყო. წელს VII ქალთა სპარტაკიადა ჩატარდება მარტში. მოეწყობა აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო, პიონერთა ბანაკების, რაიონების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპარტაკიადები.

ბურევესტნიკელები საფარიკაო ბილიკებზე

16 თებერვალს „ბურევესტნიკის“ სპორტდარბაზში ჩატარდა საქართველოს „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური პირველობა ფარიკაობაში ქალთა შორის. ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა და პირველ ადგილზე გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ჯ. ზენაიშვილი. მეორე ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლ. შეყრილაძემ, ხოლო მესამე — უნივერსიტეტელმა ნ. ხავთასმა. ამ შეჯიბრებაში აღსანიშნავია ზესტაფონელ მოფარიკავეთა წარმატება, რომლებმაც ბრძოლის შესანიშნავი ჩვევები გამოავლინეს. საპრიზო ადგილებზე გამოსულ სპორტსმენებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

გ. სამსონაძე



ჰორიზონტალურად განლაგებულ უჯრედებში ჩაწერე XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ისე, რომ დიაგონალზე მიიღო ყველაზე დიდი საერთაშორისო კომპლექსური ღონისძიება.

შეადგინა ჯ. აბაიშვილმა.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 00755